



ადგილობრივი
თვითმმართველობის
ინდექსი

საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება (2021)




www.lsgindex.org







2021 წლის შედეგები




1 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 70%	60 ზანთაფონის მუნიციპალიტეტი 6%
2 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 66%	61 ასპინძის მუნიციპალიტეტი 6%
3 ლაკოდების მუნიციპალიტეტი 61%	62 თერჯოლის მუნიციპალიტეტი 5%
4 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 58%	63 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი 5%
5 ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 55%	64 ადიგენის მუნიციპალიტეტი 4%





გაუმჯობესების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები



საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება




ელექტრონული მმართველობა



მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება

მხოლოდ 20 მუნიციპალიტეტში ტარდებოდა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები



მხოლოდ 9 საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ გამართა საკუთარი საქმიანობის ანგარიშის მოსმენა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, რომელიც ბიუჯეტში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებს ითვალისწინებს

მონაწილეობით / სამოქალაქო ბიუჯეტი **9 მუნიციპალიტეტში** არის დანერგილი

A row of 9 identical icons of orange money bags with a white 'L' symbol on them.

მოქალაქეებმა საკრებულოს პეტიციით **მხოლოდ 8** მუნიციპალიტეტში მიმართეს

მცირედით (66%-დან 63%-მდე) შემცირდა მუნიციპალიტეტის პროექტების შესახებ მოსახლეობის პერიოდული ინფორმირების მაჩვენებელი



ადგილობრივი
თვითმმართველობის
ინდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი მომზადდა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ.


ანგარიში იხილეთ ვებგვერდზე: www.lsgindex.org

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით მომზადდა. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

ავტორები: გიორგი ტოკლივიშვილი
თეონა ტურაშვილი
კოკა კიდურაძე
თამარ ნასყიდაშვილი
გოგა თუშურაშვილი
ირაკლი კახიძე

2021 ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებაში მონაწილეობდნენ:

ნინო ხუხუა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
დავით სალარიძე	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
მარიამ ამბროლაძე	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
იასე ჯიქია	ასოციაცია „დეა“
ბაკურ გოგოხია	ასოციაცია „დეა“
გორგი ანდლულაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
ჯაბა ნათუნაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
ზურა ახმეტელი	მწვანე კავკასია
თათია კონიაშვილი	მწვანე კავკასია
ნათია აფხაზავა	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი - ბათუმი (CSI)
მაია ბიძინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ნინო გოგინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ლევან ხინთიბიძე	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
ირაკლი ჰაპავა	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
თათია კახაძე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ჯონი კვინიკაძე	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
მამუკა ისკანდარაშვილი	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
ავთო თავდიშვილი	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC)
მაგდა გზირიშვილი	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC)



ინდექსის შესახებ

2016-2017 წლებში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი (**შემდგომში, ინდექსი**). მისი მიზანია, საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების გზით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა. ინიციატივა მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდის მიერ.

ინდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტების შეფასება ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ. პირველი და მეორე ეროვნული შეფასება 2017 და 2019 წლებში განხორციელდა, ხოლო მესამე შეფასება - 2021 წელს, რომლის ძირითადი მიგნებები, ტენდენციები და რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში.

ინდექსის სტრუქტურა და შეფასების პირობები

ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისგან, რომელიც შეფასების 101 კრიტერიუმს აერთიანებს.



I ბლოკი - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოკვეთვა
მოიცავს 11 ქვებლოკს და 53 კრიტერიუმს.






II ბლოკი - ელექტრონული მმართველობა
მოიცავს 4 ქვებლოკს და 27 კრიტერიუმს.



III ბლოკი - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება
მოიცავს 2 ქვებლოკს და 21 კრიტერიუმს.

ინდექსი განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებს სხვადასხვა ბლოკის შეფასებისას. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების (ბლოკი 1) და ელექტრონული მმართველობის (ბლოკი 2) შეფასება, ძირითადად, მათი ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის საფუძველზე ხდება, ხოლო მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების (ბლოკი 3) შეფასება - მუნიციპალიტეტიდან გამომდინარე, მათი საჯარო ინფორმაციის ანალიზისა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილზე დაკვირვების მეთოდით. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ორგანო არ გასცემს ამა თუ იმ კრიტერიუმის შეფასების მიზნით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, მოცემულ კრიტერიუმში მას ავტომატურად მინიმალური ქულა ეწერება.

გარდა ამისა, ინფორმაციის მოძიებისა და გადამონშების მიზნით, გამოიყენება შემდეგი დამატებითი საშუალებები:

-  მუნიციპალიტეტის ორგანოსთან სატელეფონო კომუნიკაცია;
-  „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტების შესწავლა;
-  სხვა ოფიციალური (ონლაინ) წყაროების გამოყენება, რომლებიც კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს.

ინდექსით ფასდება მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანო.

მუნიციპალური ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მესამე ეროვნული შეფასება განხორციელდა 2021 წლის 5 აპრილიდან 2021 წლის 11 ივნისამდე პერიოდში. შეფასდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა აჭარის, ახალგორის, ერედვის, თიღვისა და ქურთის მუნიციპალიტეტებისა. შემფასებლის სტატუსით პროცესში მონაწილეობა მიიღო 7 რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის 19-მა წარმომადგენელმა.

შეფასება განხორციელდა ონლაინ პლატფორმის - WWW.LSGINDEX.ORG - გამოყენებით.

პირველადი შეფასების შემდეგ, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პლატფორმაზე რეგისტრაციის გავლით, გაცნობოდნენ საკუთარი შეფასების შედეგებს და გამოეთქვათ შენიშვნები. ყველა დასაბუთებული შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა შეფასების საბოლოო ანგარიშში.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დასაწყისში შეიქმნა თვითმმართვედი ელექტრონული სასწავლო კურსი ინდექსის შეფასების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შესახებ, რომელიც წარმატებით გაიარა 20-ზე მეტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

ინდექსის კრიტერიუმების ცვლილებები

2021 წელს განხორციელდა ინდექსის განახლება, რომლის ძირითად მიზანს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან ინდექსის მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების ჰარმონიზაცია წარმოადგენდა.

ცვლილებების შედეგად განხორციელდა რამდენიმე კრიტერიუმის ინდიკატორების დაზუსტება და აგრეთვე სამი ახალი კრიტერიუმის დამატება. კერძოდ, ინდექსს დაემატა შემდეგი კრიტერიუმები: 1.1.6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია; 3.1.16 მონაწილეობითი ბიუჯეტი (სამოქალაქო ბიუჯეტი); 3.1.17 გენდერული თანასწორობის საბჭო. ინდექსში განხორციელებული სხვა ცვლილებები ძირითადად ტერმინოლოგიურია.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ახალი კრიტერიუმებით შეფასდა მხოლოდ ის მუნიციპალიტეტები, რომლებსაც შესაბამის ინდიკატორებთან დადებითი მაჩვენებელი დაუდგინდა. დანარჩენი მუნიციპალიტეტებისთვის ახალი კრიტერიუმები შეფასებიდან გაითიშა და მათ საერთო ქულაზე არ უმოქმედია. აღნიშნული მიდგომა განპირობებული იყო სიახლეების მიმართ ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდის არსებობის საჭიროებით. 2023 წლის შეფასებისას ახალი კრიტერიუმებით უკვე ყველა მუნიციპალიტეტი შეფასდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებები 2019-2021 წლებში

მუნიციპალიტეტების შეფასების პროცესის და მისი შედეგების ანალიზის-თვის მნიშვნელოვანია შეფასების წელს საქართველოში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის გარემოს და განვითარების ტენდენციების მიმოხილვა, რომელიც 2019-2021 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს 2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოს პარლამენტის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმის (ე.წ. უტრეხტის პროტოკოლი) რატიფიცირება, რამაც უფრო გაამყარა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი გარანტიები.

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 და სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების გეგმა. სტრატეგიამ დეცენტრალიზაციის სამი ძირითადი მიზანი განსაზღვრა: თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში; ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით და სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.


ინდექსის შეფასების ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მესამე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში გაერთიანებულ ამოცანებზე და აქტივობებზე, რომელიც მოიცავს ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამის ხელშეწყობას; გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების დასანერგად საკანონმდებლო ჩარჩოს გადასინჯვას; ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მა-

ღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობას; ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების სრულყოფას; დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.

2020 წელს განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან ასზე მეტი დარგობრივი საკანონმდებლო აქტის ჰარმონიზაცია. 2020-2021 წლებში, ადგილობრივ თვითმმართველობას განესაზღვრა რამდენიმე ახალი უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საერთაშორისო კონკურსის საფუძველზე, საქართველოს სამი მუნიციპალიტეტი - ახალციხე, ოზურგეთი და ხონი - არჩეული იქნა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ადგილობრივი პროგრამის (OGP Local) წევრად. აღნიშნულმა მუნიციპალიტეტებმა უკვე წარადგინეს OGP Local-ის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმაც.

„ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმის რატიფიცირებით, სამართლებრივი ჰარმონიზაციის განხორციელებით და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიღებით გადადგმული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, ფინანსური დეცენტრალიზაციის რეფორმა, მათ შორის ეფექტიანი და სამართლიანი ფინანსური გათანაბრების პოლიტიკის ფორმირება; მუნიციპალიტეტისთვის არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო მიწების გადაცემის პროცესის დასრულება; მუნიციპალიტეტებზე არაფორმალური პოლიტიკური კონტროლი; მოქალაქეთა მონაწილეობის სფეროში არსებული მექანიზმების გადახედვა და ახალი მექანიზმების განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგია ფარავს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების უმრავლესობას, თუმცა რეალური შედეგების მიღწევა ამოცანებისა და დასახული გეგმების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებაზე არის დამოკიდებული.



მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2021 წლის შეფასება - ძირითადი მიზნები

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2021 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი 28%-ია, რაც უთანაბრდება 2019 წლის შეფასების მაჩვენებელს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

2021 წლის შეფასების შედეგებით, პირველი ბლოკის მაჩვენებელი - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2019 წლის შედეგებთან მიმართებით, 2%-ით გაუმჯობესდა (25%-დან 27%-მდე), მაჩვენებელი იგივე დარჩა მეორე ბლოკში - ელექტრონული მმართველობა (32%), ხოლო მესამე ბლოკის - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება - მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 6%-ით შემცირდა (29%-დან 23%-მდე).

შეფასების პროცესში ჩართული შემფასებლების მოსაზრებით, აღნიშნულ შედეგებზე ზეგავლენა რამდენიმე ფაქტორმა იქონია:

პირველი, COVID-19 პანდემიამ. შეფასების დროს თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი დისტანციური მუშაობის რეჟიმზე იყო გადასული ან ავადმყოფობის გამო ვერ ასრულებდა საკუთარ მოვალეობას. აღნიშნული გარემოებების მიზეზით, ხშირად შეფერხებული იყო მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის დროულად მიღების, ელექტრონული პლატფორმების მართვის და განახლების პროცესი. პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად ამცირებდა მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობებსაც, რაც მესამე ბლოკის მაჩვენებლების გაუარესების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო. აქვე შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა პანდემიის ვითარებასთან სწრაფი და ეფექტიანი ადაპტირება, რაც შესაძლებელი იყო თუნდაც ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენ-

ტებზე მეტი აქცენტის გაკეთებით. 2021 წლის შეფასებისას ელექტრონული მმართველობის ბლოკში იგივე მაჩვენებელი და მესამე ბლოკის შედეგის არსებითი გაუარესებაც ამას ადასტურებს.

მეორე, 2021 წელი წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების წელს. იყო შემთხვევები, როდესაც იმ მუნიციპალიტეტის ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებიც მომდევნო არჩევნებში მონაწილეობას აღარ იღებდნენ ნაკლები ენთუზიაზმით უდგებოდნენ მიმდინარე მუნიციპალური საკითხების მართვას და მათ შორის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის საკითხებს. ამასთან, ზოგ მუნიციპალიტეტში შუალედური არჩევნების შედეგად მოსული ახალი ხელმძღვანელობა არ იზიარებდა წინამორბედის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე პასუხისმგებლობას, მაგალითად, საქმიანობის ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებით.

მესამე, მუნიციპალიტეტებში არსებული არამდგრადი საკადრო პოლიტიკა.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შეიცვალა თანამშრომლები, რომლებიც 2017-2019 წლებში მუშაობდნენ მუნიციპალიტეტში და იცნობდნენ ინდექსს და შეფასების სპეციფიკას. ახალ თანამშრომლებს შედარებით უჭირდათ პროცესის მართვა, რაც შედეგებზეც აისახა.

ამასთან, შეფასების შედეგები მიუთითებს, რომ გეოგრაფიულ (მაღალმთიანობა) და დემოგრაფიულ (ეთნიკური უმცირესობები) ფაქტორებს ზეგავლენა აქვს მუნიციპალიტეტების გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე. აღნიშნული მახასიათებლების მქონე მუნიციპალიტეტების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს. აგრეთვე, მკვეთრად მცირეა მათი შედეგების გაუმჯობესების დინამიკაც. საინტერესოა, რომ საქართველოს დედაქალაქის მუნიციპალიტეტი, სადაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ცხოვრობს, გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსის მაჩვენებლით ჩამორჩება თითქმის ყველა სხვა თვითმმართველ ქალაქს.

აქვე უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტების დადებით შედეგებზე საერთაშორისო დონორების დახმარების პროგრამებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეული ინიციატივების/პროექტების პოზიტიური ზეგავლენა,

მათ შორის, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში ჩართულ მუნიციპალიტეტებზე. როგორც წესი, სწორედ ასეთ მუნიციპალიტეტებს აქვთ შედეგების პოზიტიური დინამიკა.

ამავდროულად, სამივე (2017, 2019, 2021) ეროვნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა სტაბილურად მაღალი შედეგის და დადებითი დინამიკის მქონე მუნიციპალიტეტები (მაგ., რუსთავი, ლაგოდეხი, ზუგდიდი, ოზურგეთი), რაც მიუთითებს მათ მზაობასა და ინსტიტუციურ დამოკიდებულებებზე გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით.

შეინიშნება, ინდექსის ცნობადობისა და გამოყენების მზარდი ტენდენცია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში. მაგალითად, ინდექსი, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანის მიღწევის ინდიკატორი, გამოყენებულია მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიაში. ამასთან, მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის შეფასებისას, ინდექსის მაჩვენებლებს ხშირად ეყრდნობიან ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ შეფასების მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტებში გამოიკვეთა ინდექსის სტანდარტების/მოთხოვნების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2021 წელს შემუშავდა ინდექსის მეთოდოლოგიის შესახებ თვითმმართვედი დისტანციური სასწავლო კურსი (www.tvitmmartveloba.ge). კურსი უფასოა და მასზე ხელი მიუწვდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ის მნიშვნელოვნად დაეხმარება მუნიციპალიტეტების შესაბამის თანამშრომლებს ინდექსის სტანდარტების უკეთ აღქმაში და მათი დაკმაყოფილების უზრუნველყოფაში. ამასთან, კურსის, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციის, გამოყენება შესაძლებელია მარტივად, ნებისმიერ დროს.

ქვემოთ მოცემულია 2021 წლის ინდექსის შეფასების მნიშვნელოვანი შედეგები თემატური ბლოკების, ინდიკატორების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.



საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

ინდექსის 2021 წლის შეფასების შედეგებით:

- ◆ მუნიციპალიტეტების საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 27%-ს შეადგენს, რაც მცირედით (2%-ით) აღემატება 2019 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს.
- ◆ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი მხოლოდ 32-მა მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესა. რეგრესი დაფიქსირდა 30 მუნიციპალიტეტში.
- ◆ 23 მუნიციპალიტეტი ვერ სცდება ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 20%-იან ზღვარს, 50%-ს კი მხოლოდ 7-მა მუნიციპალიტეტმა გადააჭარბა.
- ◆ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 81% - დაფიქსირდა (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი), რაც 20%-ით აღემატება 2019 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (61% - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი). ყველაზე დაბალი შედეგები (0%) მიიღეს იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც გათიშული ან საერთოდ არ ჰქონდათ ვებგვერდი (ადიგენის, ასპინძის, ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები). წინა, 2019 წლის შეფასების დროს მსგავსი ვითარება იყო მხოლოდ ასპინძის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში.
- ◆ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (55%-ით ზრდა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა.
- ◆ ქვებლოკების მიხედვით, ინდექსის 2019 წლის შედეგებთან შედარებით, ყველაზე მაღალი გაუმჯობესება დაფიქსირდა მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი დეტალების (ზრდა 8%-ით) და მუნიციპალური სერვისების (ზრდა 5%-ით) შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით. მაშინ როცა, ყველაზე მეტად საკადრო უზრუნველყოფის (კლება 4%-ით), ასევე, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესა-

ხებ (კლება 4%-ით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გა-
უარესდა.

- ◆ წინა შეფასების მსგავსად, ყველაზე ცუდი პრაქტიკა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების (8%) და წილობრივი მონაწილეობით და-
ფუძნებული ან მმართველობაში მყოფი იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობაა (12%). ადმინისტრაციული ხარჯების ჯამური მონაცემები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ბი-
უჯეტის შესრულების ანგარიშებში, რაც ვერ პასუხობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტს. საგულისხმოა, რომ ორივე ქვებლოკის შეფასების შედეგებში, წინა შეფასებებთან შედარებით, მცი-
რედი პროგრესი (ზრდა 1%) შეინიშნება.
- ◆ კრიტერიუმების მიხედვით, მუნიციპალიტეტებს კვლავ ყველაზე მაღალი შედეგები გააჩნიათ მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნების ქვებლოკში: თანამდებობის პირების შესახებ ინფორმა-
ცია (65%), საკონტაქტო ინფორმაცია (61%), მუნიციპალიტეტის ადმინის-
ტრაციული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (59%), ორგანიზაცი-
ული სტრუქტურის და ფუნქციების აღწერა (57%).
- ◆ შეფასების შედეგებთან მიმართებით, მუნიციპალიტეტებმა ყველაზე მე-
ტად გააუმჯობესეს მუნიციპალიტეტების წლიური ანგარიშების, სტრა-
ტეგიებისა და მათი სამოქმედო გეგმების, ბიუჯეტის შესრულების ანგა-
რიშების, სანებართვო და ცალკეული მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა, ხოლო ყველაზე მეტად გააუარესეს მიმდინარე აუქციონების და ტენდერების, დასაქმებულ პირ-
თა და საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- ◆ სხვადასხვა მუნიციპალიტეტი განაგრძობს საკუთარ ვებგვერდზე ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც პირველი 2017 წლის შეფასების დროს არცერთი მუნიციპალიტეტის ორგანოს ვებგვერდზე იყო წარმოდ-
გენილი. მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი, რეკლამის განთავსებაზე განუვლი ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, მუნი-

ციპალიტეტის იურიდიული პირების წლიური საქმიანობის და ფინანსური ანგარიში, სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა.

- ◆ იმერეთი, შიდა ქართლი, აჭარა და მცხეთა-მთიანეთი გახლდათ ის რეგიონები, სადაც მუნიციპალიტეტების საერთო პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი წინა მაჩვენებელთან შედარებით გაუარესდა. ყველაზე დიდი უკუსვლა (-3%) შიდა ქართლში დაფიქსირდა.
- ◆ 26 მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს პროაქტიულად საერთოდ არ აწვდის ინფორმაციას თუნდაც ერთი მუნიციპალური სერვისის შესახებ.



ელექტრონული მმართველობა

ინდექსის 2021 წლის შეფასების შედეგებით:

- ◆ მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საშუალო მაჩვენებელი 32%-ია, რაც ზუსტად იმეორებს 2019 წლის შეფასების მაჩვენებელს (32%).
- ◆ ელექტრონული მმართველობის მაჩვენებელი მხოლოდ 25-მა მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესა. რეგრესი დაფიქსირდა 34 მუნიციპალიტეტში.
- ◆ მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 67% - დაფიქსირდა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), რაც 4%-ით აღემატება 2019 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (63% - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). ყველაზე დაბალი შედეგები მიიღეს იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც გათიშული ან საერთოდ არ ჰქონდათ ვებგვერდი (ნინოწმინდის, ადიგენის, ასპინძის, ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები). წინა, 2019 წლის შეფასების დროს მსგავსი ვითარება იყო მხოლოდ ასპინძის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში.
- ◆ ელექტრონული მმართველობის ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (43%-იანი ზრდა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა.

- ◆ ქვებლოკების მიხედვით, ინდექსის 2019 წლის შედეგებთან შედარებით, მცირედით გაუმჯობესდა ელექტრონული მონაწილეობა (ზრდა 1%). იგივე შედეგს იმეორებს ვებგვერდის ტექნიკური მახასიათებლები, ხოლო გაუარესდა შემდეგი ქვებლოკების შედეგები: ინფორმაცია მონაწილეობის შესახებ (კლება 3%-ით), მუნიციპალიტეტი სოციალურ ქსელში (კლება 1%-ით).
- ◆ კრიტერიუმების მიხედვით, წინა შეფასების შედეგებთან მიმართებით, მუნიციპალიტეტებმა ყველაზე მეტად გააუმჯობესეს დარეგისტრირებული პეტიციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (ზრდა 27%-ით) და ვებგვერდების მობილურ პლატფორმებთან ადაპტირება (ზრდა 10%-ით). გაუარესდა დაგეგმე ბიუჯეტის (კლება 15%-ით), ონლაინ გამოკითხვისა (კლება 8%-ით) და ინფორმაცია მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ (კლება 3%-ით) კრიტერიუმების შეფასების შედეგები.
- ◆ მუნიციპალიტეტებს კვლავ ყველაზე მაღალი შედეგები გააჩნიათ სოციალური ქსელების ქვებლოკში: სოციალურ ქსელებში (Facebook) მუნიციპალიტეტის აქტიურობა (83%), სოციალურ ქსელებში კომენტარის დატოვების შესაძლებლობა (100%), სოციალურ ქსელებში პირადი შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობა და პასუხის ხარისხი (71%)
- ◆ მუნიციპალიტეტებმა დაინყეს საკუთარ ვებგვერდზე ისეთი აქტივობის დამატება, რომელიც პირველი 2017 წლის შეფასების დროს არ იყო წარმოდგენილი არცერთი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, მაგალითად, სამოქალაქო ინიციატივა. აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა SMS შეტყობინების გამოყენების შედეგიც (1%-დან 15%-მდე).
- ◆ კრიტერიუმების მიხედვით, წინა შეფასების მსგავსად, ყველაზე ცუდი პრაქტიკა ფიქსირდება მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით (10%). ასევე პრობლემად რჩება ინფორმაციის არსებობა რამდენიმე ენაზე (14%) და მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (12%). წინა შეფასებასთან შედარებით გაუარესებულია მდგომარეობა საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

- ◆ კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი გახლდათ ის რეგიონები, სადაც მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი წინა შედეგებთან შედარებით გაუარესდა. ყველაზე დიდი უკუსვლა (-5%) მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა.
- ◆ გამოიკვეთა ერთი მუნიციპალიტეტი (ასპინძის მუნიციპალიტეტი), რომელსაც ინდექსის არცერთი შეფასების პერიოდში ვებგვერდი არ ჰქონია. ვებგვერდი არ აქვს და ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად სოციალურ ქსელებს იყენებს აგრეთვე მხოლოდ ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულო (ქარელის მუნიციპალიტეტი).



მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება
ინდექსის 2021 წლის შეფასების შედეგებით:

- ◆ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო მაჩვენებელი 23%-ს შეადგენს, რაც 6%-ით ჩამორჩება 2019 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს.
- ◆ მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი მხოლოდ 11-მა მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესა. რეგრესის დაფიქსირდა 52 მუნიციპალიტეტში.
- ◆ 27 მუნიციპალიტეტი ვერ სცდება მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების შეფასების 20%-იან ზღვარს, 50%-ს კი მხოლოდ ერთმა მუნიციპალიტეტმა (ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტი) გადააჭარბა.
- ◆ მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 55% - დაფიქსირდა (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი), რაც 24%-ით ჩამორჩება 2019 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (79% - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი). შეფასების ყველაზე დაბალი შედეგია 3% (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), რაც 9%-ით ჩამოუვარდება 2019 წლის შეფასების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს - 12% (მესტიის მუნიციპალიტეტი).

- ◆ ბლოკის შეფასების საშუალო მაჩვენებელში ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (ზრდა 19%-ით) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დიდი რეგრესი (კლება 32%-ით) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტშია.
- ◆ მოქალაქეთა მონაწილეობის ქვებლოკში მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელია 18%, რაც მნიშვნელოვნად - 7%-ით ჩამორჩება 2019 წლის შედეგებს. ანგარიშვალდებულების ქვებლოკში კი მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელია 33%, რაც აგრეთვე არსებითი 9%-იანი გაუარესებაა 2019 წლის შედეგებთან შედარებით.
- ◆ მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგი კრიტერიუმების შედეგებში: პეტიცია (86%), მუნიციპალიტეტის პროექტების შესახებ მოსახლეობის პერიოდული ინფორმირება (63%), საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (53%), და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებები (33%).
- ◆ 0%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა შემდეგი ორი კრიტერიუმის შედეგში: დასახლების საერთო კრებისთვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსახილველად სავალდებულო საკითხები წარდგენა და მუნიციპალიტეტის მიერ დასახლების საერთო კრების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა. გასათვალისწინებელია, რომ 2019 წლის შეფასების შედეგებში აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების საშუალო მაჩვენებელი, შესაბამისად, 10%-ს და 7%-ს წარმოადგენდა.
- ◆ მნიშვნელოვანი, 10%-ზე მეტი შემცირება დაფიქსირდა შემდეგი კრიტერიუმების შეფასების შედეგებში: საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა (12-12%-ით), სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა (16%-ით), სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინფორმაციული მხარდაჭერა (10%-ით), მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო განხილვების გამართვა (11%-ით) და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (11%-ით). აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმების მიხედვით გაუმჯობესება ფიქსირდება

მხოლოდ ერთი კრიტერიუმის შედეგში - პეტიციების განხილვის პროცედურების დაცვა (ზრდა 40%). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტის დადებითი შეფასების საშუალო შედეგს ეფუძნება.

- ◆ საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც ასეთი საბიუჯეტო პროგრამა 2021 წლის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.
- ◆ ბლოკში დამატებული ორი ახალი კრიტერიუმის მიმართ - მონაწილეობითი ბიუჯეტი (სამოქალაქო ბიუჯეტი) და გენდერული თანასწორობის საბჭო - დადებითი შეფასება დაუფიქსირდა, შესაბამისად, 9 და 14 მუნიციპალიტეტს.
- ◆ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ერთადერთია, სადაც, 2019 წლის შეფასებასთან შედარებით, მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ბლოკში მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებლის გაუმჯობესება დაფიქსირდა.

ცალკე გამოყოფთ იმ მიგნებებს და ტენდენციებს, რაც უშუალოდ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს უკავშირდება

აღმასრულებელი ორგანოები/დაწესებულებები (მერი/მერია)
ინფორმაცია 2021 წლის შეფასების შედეგებით:

- ◆ მუნიციპალიტეტების მერიებიდან მხოლოდ 15-მა გამოაქვეყნა (თუმცა, უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, შრომის ანაზღაურების ხარჯები გამოაქვეყნა 12-მა მერიამ, მივლინებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე განეული ხარჯები - 11-მა, სანჯავის ხარჯები წარმოდგენილი იყო 10 მერიის

შემთხვევაში. წარმომადგენლობითი ხარჯები 9 მერიაში, სატელეკომუნიკაციო ხარჯები კი მხოლოდ 7-მა მათგანმა გახადა პროაქტიულად ხელმისაწვდომი.

- ◆ ოდნავ გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტების მერიების მიერ იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი - 2017 წლის შეფასებით, ამ კატეგორიაში მუნიციპალიტეტების საშუალო შეფასება 8% იყო, 2019 წლის შედეგებით, აღნიშნული მაჩვენებელი 11%-მდე გაიზარდა, 2021 წლის შეფასებით კი 12% შეადგინა. თუმცა, კვლავაც პრობლემურია იურიდიული პირების წლიური ანგარიშების, განხორციელებული შესყიდვების, აუდიტების და დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.
- ◆ მუნიციპალიტეტების მერიების 72%-მა საკუთარ ვებგვერდზე არ გამოაქვეყნა ინფორმაცია მიმდინარე ტენდერების შესახებ. ამ კრიტერიუმში მუნიციპალიტეტების მაჩვენებელი ყოველწლიურად იკლებს: 2017 წლის შეფასებით მერია/გამგეობების 40% არ აქვეყნებდა მიმდინარე ტენდერების შესახებ ინფორმაციას, 2019 წლის შედეგებით, მათი წილი 66%-მდე გაიზარდა.
- ◆ მუნიციპალიტეტის მერიების მესამედი არ აქვეყნებს მერის წლიურ ანგარიშებსა და მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებს. აღნიშნულ კრიტერიუმებში პროგრესი ფიქსირდება, რადგან წინა წლებში მუნიციპალიტეტის მერიების ნახევარზე მეტი არ აქვეყნებდა მსგავს დოკუმენტებს.
- ◆ შედარებით გაუმჯობესდა მერიების ვებგვერდზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩატარებული სხდომების ოქმების ხელმისაწვდომობა (22%-დან 32%-მდე), თუმცა შემცირდა დასახლების საერთო კრებების (30%-დან 24%-მდე) ოქმების პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი.
- ◆ მუნიციპალიტეტებიდან მხოლოდ 20 მუნიციპალიტეტში ტარდებოდა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც შექმნილია და იმართება მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები, გაზრდილია საბჭოს მიერ მერისთვის ინიციატივების წარდგენის მაჩვენებელი, 2017 წლის შეფასებასთან შედარებით - 6%-ით,

ხოლო 2019 წლის შეფასებასთან შედარებით - 4%-ით. რაც შეეხება მერის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი საკითხების მაჩვენებელს, 2017 წლის შეფასებასთან შედარებით, 3%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2019 წლის შეფასებასთან შედარებით, 6%-იანი კლება ფიქსირდება. ეს მონაცემი ეყრდნობა მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტების მონაცემს, სადაც ჩატარდა საბჭოს სხდომები.

- ◆ კრიტიკულად შემცირებულია მერის მიერ ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის პრაქტიკა. ასეთი მოსმენები მუნიციპალიტეტების მხოლოდ 9%-ში გაიმართა. 2017 წელთან შედარებით, შემცირებულია 14%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით, შემცირდა 8%-ით.
- ◆ კანონმდებლობის მიღმა დადგენილი მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების გამოყენების მიმართულებით ლიდერობს სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმა.
- ◆ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ განახლებული ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი 2017 წლის შეფასებასთან შედარებით გაზრდილია 19%-ით, მაგრამ 2019 წლის შეფასებასთან შედარებით 3%-იანი კლებაა.


წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულო

ინდექსის 2021 წლის შეფასების შედეგებით:

- ◆ მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან მხოლოდ 15-მა გამოაქვეყნა (ისიც არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, წარმომადგენლობითი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე განეული ხარჯები მხოლოდ 7-მა მათგანმა გაასაჯაროვა. შრომის ანაზღაურების ხარჯები ხელმისაწვდომი იყო 8 საკრებულოს შემთხვევაში, სატელეკომუნიკაციო ხარჯები 9, საწვავის - 10 და მივლინების ხარჯები 10 წარმომადგენლობითი ორგანოს შემთხვევაში. აღნიშნული მდგომარეობა

მცირედით ჩამოუვარდება 2019 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

- ◆ 29 მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოაქვეყნა ბოლო ერთ წელში ჩატარებული სხდომის ოქმები, რაც ემთხვევა 2019 წლის შეფასების მაჩვენებელს. ამათგან მხოლოდ 16-მა საკრებულომ ონლაინ გახადა ხელმისაწვდომი ყველა ჩატარებული სხდომის ოქმი, დანარჩენის შემთხვევაში კი აკლდა ცალკეული სხდომების დოკუმენტები.
- ◆ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მხოლოდ მინიმალური, ფორმალური გარანტიებია შექმნილი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, როგორც საკრებულოს, ისე საკრებულოს კომისიის სხდომებში. მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არის შესაძლებელი საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში, ასევე საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის პროცესში დისტანციური მონაწილეობა. საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები გაზრდილია 2017 წლის შეფასებასთან შედარებით 7%-ით, თუმცა შემცირებულია 2019 წლის შეფასებასთან შედარებით 12%-ით. კვლავ პრობლემად რჩება მოქალაქეთა დაბალი მოტივაცია, დაესწრონ საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებს.
- ◆ კვლავ პრობლემად რჩება საკრებულოს წევრების ანგარიშების საჯარო მოსმენის გამართვა. ეს მონაცემი კრიტიკულად არის შემცირებული და 7%-მდე დაეცა, რაც 2017 წლის შეფასებასთან შედარებით, 17%-იან, ხოლო 2019 წლის შეფასებასთან შედარებით 8%-იანი კლებაა.
- ◆ შემცირებულია იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი (8 მუნიციპალიტეტი), სადაც მოქალაქეები საკრებულოს პეტიციით მიმართავენ.



2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შედეგები


ხეივანი მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტების 2021 წლის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო შედეგი კვლავ დაბალი რჩება - 28%. მერიების საშუალო შედეგია - 26%, ხოლო საკრებულოების - 31%. აღნიშნული შედეგები არსებითად არ განსხვავდება 2019 წლის მაჩვენებლებისგან.

შეფასების შედეგების მიხედვით, 2021 წლის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი გამოვლინდა. 100%-იან შეფასების სკალაზე მას 70%-იანი შედეგი აქვს, რაც 9%-ით აღემატება 2019 წლის საუკეთესო შედეგის მქონე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, ხოლო 20% აღემატება 2017 წლის საუკეთესო შედეგს - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს (50%).



ფოთის მუნიციპალიტეტთან ერთად, გამჭვირვალობის რეიტინგის პირველ ხუთეულში არიან რუსთავის (66%), ლაგოდეხის (61%), ოზურგეთის (58%) და ზუგდიდის (55%) მუნიციპალიტეტები.

2021 წლის საუკეთესო შედეგების მქონე მუნიციპალიტეტები




რაც შეეხება 2021 წლის რეიტინგის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე მუნიციპალიტეტებს, მათ შორის არიან ადიგენის (4%), ნინოწმინდის (5%), თერჯოლის (5%), ასპინძის (6%) და ზესტაფონის (6%) მუნიციპალიტეტები. რეიტინგის 10%-იანი ზღვარი ასევე ვერ გადალახა სამმა მუნიციპალიტეტმა: თიანეთი (7%), სამტრედია (7%) და კასპი (9%).

2021 წლის ყველაზე დაბალი შედეგების მქონე მუნიციპალიტეტები



**შედეგების ყველაზე მკვეთრი ზიანის და გაუახესების
მქონე მუნიციპალიტეტები**




შედეგების ყველაზე მკვეთრი, 46%-ით ზრდა ფიქსირდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. გაუმჯობესების მაჩვენებელი 10%-ზე მაღალია ბორჯომის, აბაშის, შუახევის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში. მკვეთრი, 26 და 20%-იანი გაუარესება აქვს თეთრიწყაროსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებს, შესაბამისად. აგრეთვე, შესამჩნევი 12-15%-იანი ვარდნა არის წალენჯიხის, ახმეტის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში.


ჰეიგინგი მუნიციპალიტეტის ორგანოების მიხედვით

მერიების საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 26%-ია, რაც 2019 წლის შეფასების საშუალო მაჩვენებელს უმნიშვნელოდ აღემატება. აღმასრულებელ ორგანოებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ქალაქ რუსთავის მერიას აქვს - 71%. შემდეგ მოდის ქალაქ ფოთის (67%), ზუგდიდის (54%), ოზურგეთის (52%) და ცაგერის (50%) მერიები. ყველაზე დაბალი შედეგები კი ზესტაფონის (5%), ნინოწმინდის (4%), თერჯოლის (4%) და ადიგენის (3%) მერიებს აქვთ.

2021 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე მუნიციპალიტეტები




შედეგების ყველაზე მკვეთხი ზიჯის და გაუაჩესების მქონე მეჩიები




საკრებულოების შეფასების საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 31%-ია, რაც 4%-ით აღემატება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების შეფასების საშუალო მაჩვენებელს. საკრებულოების შეფასების საშუალო მაჩვენებელი ფაქტობრივად ემთხვევა 2019 წლის მაჩვენებელს (31%). გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგი ლაგოდეხის საკრებულომ აჩვენა - 79%, შემდეგ მოდის ქალაქ ფოთის (76%), ოზურგეთის (68%), თელავის (58%), ქალაქ რუსთავის (57%) და ზუგდიდის (57%) საკრებულოები. ყველაზე დაბალი შედეგები დაფიქსირდა ასპინძის (6%), ნინოწმინდის (6%), ადიგენის (6%), თერჯოლის (6%) და ქარელის (5%) საკრებულოების შემთხვევაში.

2021 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე საკვებულოები



შედეგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუახესების მქონე საკვებულოები




მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებლები ხეგიონების მიხედვით

შეფასების შედეგების წარმოდგენის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონებად მიიჩნევა სახელმწიფო რწმუნებულების სამოქმედო ტერიტორიები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (სულ 9 რეგიონი).

შეფასების შედეგებით, საქართველოს რეგიონების მიხედვით, გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი (42%) გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ, რაც თითქმის სამჯერ აღემატება ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე რეგიონის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს (15%).

სტაბილურად მზარდი დინამიკა ფიქსირდება მხოლოდ გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებლის შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის შეფასების საშუალო მაჩვენებელსა და 2017 წლის საშუალო მაჩვენებელს შორის გაუარესება (-1%) მხოლოდ შიდა ქართლში დაფიქსირდა. 2021 წლის შედეგებით, ყველაზე მაღალი ზრდა აქვს გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს (5%), ხოლო თანაბარი 3%-იანი გაუარესება ფიქსირდება ერთდროულად 4 რეგიონში (კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და შიდა ქართლი).


მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელი ხეგიონების მიხედვით



მუნიციპალიტეტები მაღალმთიანი დასახლებებით


საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიაში მუნიციპალური ორგანოების გამჭირვალობის ინდექსის მაჩვენებელი საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდის ერთ-ერთი ინდიკატორია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, მაღალმთიან მუნიციპალიტეტად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტი, რომელშიც ერთი მაღალმთიანი დასახლება მაინც არსებობს (სულ 44 მუნიციპალიტეტი). 2021 წლის შედეგებით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელია 24%, რაც 11%-ით ჩამორჩება დანარჩენი მუნიციპალიტეტების (სულ 20 მუნიციპალიტეტი) საშუალო მაჩვენებელს (35%), ხოლო გაუმჯობესების მაჩვენებელი 2017 წლის შეფასებიდან დღემდე, დაახლოებით 2-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტებში.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების შედეგები



როგორც აღინიშნა, ზემოთ მითითებული მონაცემი ეფუძნება იმ მუნიციპალიტეტების შედეგებს, სადაც ერთი მაღალმთიანი დასახლებაც კი არსებობს და მოიცავს საქართველოს მუნიციპალიტეტების დაახლოებით 3/4-ს. შესაბამისად, ცალკე იქნა დამუშავებული იმ მუნიციპალიტეტების შედეგები, რომელთა თითქმის ყველა დასახლებაც (დასახლებების 90%-ზე მეტი) მაღალმთიანია (სულ 16 მუნიციპალიტეტი). 2021 წლის შეფასების შედეგებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელია 23%, რაც 6%-ით ნაკლებია დანარჩენი მუნიციპალიტეტების (სულ 48 მუნიციპალიტეტი) საშუალო მაჩვენებელზე (29%). ხოლო გაუმჯობესების მაჩვენებელი 2017 წლის შეფასებიდან დღემდე 2%-ით უფრო დაბალია, ვიდრე არამაღალმთიან მუნიციპალიტეტებში.


მუნიციპალიტეტების შედეგები სადაც დასახლებათა 90%-ზე მეტი მაღალმთიანია



ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტუხად დასახლებული მუნიციპალიტეტები

წინამდებარე ანგარიშში ცალკე გამოიყო ინდექსის შედეგები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებისთვის. ამგვარ მუნიციპალიტეტებად, ამ ანგარიშის მიზნებისთვის, ჩაითვალა მუნიციპალიტეტები, რომლის მოსახლეობის 50%-ზე მეტს, 2014 წლის სახელმწიფო აღწერის მონაცემების შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობა წარმოადგენს. ასეთია: ახალქალაქი, ნინოწმინდა, ნალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული და გარდაბანი. 2021 წლის შედეგებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელი 21%-ს შეადგენს, რაც 8%-ით ჩამორჩება დანარჩენი მუნიციპალიტეტების (57) საშუალო მაჩვენებელს (29%). ხოლო გაუმჯობესების მაჩვენებელი 2017 წლის შეფასებიდან დღემდე, დაახლოებით 4-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტებში.



ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტუხად დასახლებული მუნიციპალიტეტები



თვითმმართველი ქალაქები

2021 წლის შედეგებით, თვითმმართველ ქალაქებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ფოთსა (70%) და რუსთავს (66%) უფიქსირდება. მათ არსებითად ჩამორჩება დანარჩენი ქალაქები. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შედეგი (41%), მხოლოდ ქუთაისის მაჩვენებელს (32%) აღემატება.


თვითმმართველი ქალაქების შეფასების შედეგები 2021 წელი



მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები თემატიკის მიხედვით


მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი შეფასების 3 თემატური ბლოკის მიხედვით ასე გადანაწილდა: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 27%; ელექტრონული მმართველობა - 32%; მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება - 22%. წინა, 2019 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით, მცირე (+2%) გაუმჯობესება მხოლოდ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიმართულებით დაფიქსირდა.

მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგების შედარება თემატიკის მიხედვით




2019 წლის შეფასების მსგავსად, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თემატურ ბლოკში შეფასების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯისა და მუნიციპალური იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალმა მაჩვენებლებმა (შესაბამისად, 8% და 12%). შედარებით უკეთესი სურათია, აღნიშნულ ბლოკში, მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა (58%) და მუნიციპალური აქტების (36%) პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით. გაუმჯობესების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის (+8%) და მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის (+5%) ხელმისაწვდომობაში დაფიქსირდა. ხოლო ყველაზე მეტად გაუარესდა მუნიციპალური აქტების (-4%) და საკადრო უზრუნველყოფის (-4%) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საშუალო შედეგები საჯარო ინფორმაციის
პროაქტიული გამოქვეყნების მიხედვით




დანარჩენი ორი თემატური ბლოკიდან, ყველაზე მაღალი საშუალო შედეგი დაფიქსირდა **ელექტრონული მმართველობის** სფეროში - 32%.

საშუალო შედეგები ელექტრონული მმართველობის მიხედვით



2021 წელს 7%-ით გაუარესდა მოქალაქეთა მონაწილეობის, ხოლო 9%-ით ანგარიშვალდებულების მაჩვენებლები.

საშუალო შედეგები მოქალაქეთა მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების მიხედვით



რეკომენდაციები

2021 წლის შედეგებით, საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთო საშუალო ქულა 28%-ია, რაც ნიშნავს, რომ წინა, 2019 წლის შეფასების ანალოგიური მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა. შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო 28%-იანი შედეგი, კვლავაც არადაამაკმაყოფილებელი და დაბალია.

თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შედეგის გაუმჯობესების ფორმულა უცვლელია, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირების მკაფიო პოლიტიკური ნება და აქტიური მოქმედება მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება ექსპერტ-შემფასებელთა გუნდის მოსაზრებებს, მრავალწლიან სამუშაო გამოცდილებას და ცალკეული მუნიციპალიტეტის წარმატებულ პრაქტიკას. რეკომენდაციების გათვალისწინება დაინტერესებულ მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ინდექსით განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილებაში, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობაა.

რეკომენდაციების ნაწილი, მათი აქტუალობიდან გამომდინარე, იმეორებს წინა ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებსაც.



საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- ◆ მუნიციპალიტეტებმა უნდა განაახლონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა. მისი შემუშავებისას, სასურველია, გამოიყენონ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის და, ზოგადად, კარგი მმართველობისა და საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკა.

- ◆ თითოეულმა მუნიციპალიტეტმა საკუთარ ვებგვერდზე უნდა შექმნას საჯარო ინფორმაციის განყოფილება, სადაც თემატურად და ღია მონაცემების ფორმატში განთავსდება შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.
- ◆ მუნიციპალიტეტები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნებით. სასურველია, ვებგვერდზე განთავსდეს სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო ინფორმაცია. მათ შორის, პანდემიის მართვასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემები.
- ◆ ამასთან, რეკომენდირებულია სავალდებულოდ განისაზღვროს იმ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლის შესახებაც წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებას მოთხოვნით მიმართა 3 და მეტმა განმცხადებელმა. აღნიშნული პრაქტიკა, ერთი მხრივ, შეამცირებს მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესულ განცხადებებს, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის გამჭვირვალობის ხარისხს. ეს მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვნად დაეხმარებათ დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიით გათვალისწინებული მესამე მიზნის - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება - ამოცანების შესრულებაში.



ელექტრონული მმართველობა

- ◆ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის დონის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია, მოქალაქეები ინფორმირებულნი იყვნენ მონაწილეობის არსებული ფორმების შესახებ, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ორგანოებმა ინფორმაციის ეფექტური და დროული გავრცელების მთავარ საშუალებებად ვებგვერდი, სოციალური ქსელები და/ან მობილური აპლიკაციები უნდა გამოიყენოს.
- ◆ მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა ტექნიკურად მოაწესრიგოს ვებ-

გვერდები, რომელიც წარმოადგენს ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას და გამოყონ სახსრები ვებგვერდების ეფექტურად სამართავად.

- ◆ ონლაინ გადახდის სერვისისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოიყენოს უკვე არსებული ელექტრონული გადახდის სერვისები და აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია/ბანერი გამოაქვეყნოს ვებგვერდზე.
- ◆ მუნიციპალიტეტმა მოქალაქეს უნდა შესთავაზოს ელექტრონული სერვისები, რაც გულისხმობს საკუთარი ელექტრონული სერვისების შექმნას ან უკვე არსებული ელექტრონული მოდულების / სერვისების დანერგვას/გადმოტანას. პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ელექტრონული სერვისები: ადმინისტრაციული საქმისწარმოება, სივრცითი მონაცემების, არქიტექტურა და ზედამხედველობა, რეკრეაცია, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მინიჭება, კეთილმონაცემობა და დასუფთავება, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, ქონების მართვა სოციალური და სხვა სერვისები.




მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება

- ◆ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებულ ფორმებთან ერთად მუნიციპალიტეტებმა უნდა იფიქრონ სხვა დამატებითი ფორმების განვითარებაზე, რომლებიც ადაპტირებული იქნება ადგილობრივ გარემოსთან და მოთხოვნებთან.
- ◆ მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პროცესისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია, რომ მუნიციპალიტეტებმა განახორციელონ შესაბამისი საგანმანათლებლო და სხვა პროგრამები, რისთვისაც უნდა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით თანხების გამოყოფა.

- ◆ პანდემიით გამოწვეული მოსახლეობის მობილობის შეზღუდვის გამო, აგრეთვე ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული დასახლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული ფორმების, აგრეთვე საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ტრანსლაციისა და მათში დისტანციურად მონაწილეობის (სიტყვით მიმართვა, კითხვების დასმა და პასუხის მიღება) ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება.
- ◆ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა საკრებულოს რეგლამენტში გაჩნდეს მეტი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სხდომებზე დასწრებისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობის ეფექტიან განხორციელებას. კერძოდ, აუცილებელია, რომ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ დაგეგმილი სხდომების გამართვის დროის, დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციასზე, სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
- ◆ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას კანონით გათვალისწინებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. კერძოდ, რეკომენდირებულია შემცირდეს ან მუნიციპალიტეტს გადაეცეს დასახლების საერთო კრებების გამართვისთვის კანონით დადგენილი მინიმალური კვორუმის (დასახლების მოსახლეობის 20%) განსაზღვრის უფლება, ხოლო საერთო კრების გამართვის პროცედურის დეტალური რეგლამენტაციის დისკრეცია მუნიციპალიტეტზე დელეგირდეს. აღნიშნული მიდგომა შექმნის ადგილობრივ პირობებთან პროცედურის მაქსიმალური ადაპტაციის შესაძლებლობას. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერებმა უნდა გადახედონ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ფორმირების წესს და მისი დაკომპლექტებისთვის ღია, გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურები განსაზღვრონ.

- ◆ საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები მერის და საკრებულოს წევრების ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით. მუნიციპალიტეტის აღნიშნულმა თანამდებობის პირებმა მოქალაქეებთან შეხვედრები კანონით დადგენილ ვადებში და წესით უნდა გამართონ. პანდემიის ან სხვა „ფორს-მაჟორულ“ სიტუაციაში გამოყენებული უნდა იყოს ანგარიშების საჯარო მოსმენის დისტანციური მექანიზმებიც. ანგარიშების წარდგენის პროცედურის ინტერაქციულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის კარგი პრაქტიკა, რაც ანგარიშების ტექსტის წინასწარ გამოქვეყნებას გულისხმობს.
- ◆ მუნიციპალიტეტებმა უნდა გაიზიარონ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში დანერგილი სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის არსებობის კარგი პრაქტიკა. ამასთან, პროცედურის მეტი განჭვრეტადობის და სამოქალაქო ბიუჯეტის მიმართ მოსახლეობის ნდობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხები საკრებულოს ნორმატიული აქტით განისაზღვროს, ხოლო სამოქალაქო ბიუჯეტის დაგეგმვისას მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად განხორციელებულ იქნას. ამასთან, სამოქალაქო ბიუჯეტის მდგრადობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის თანხა მიბმული იყოს ბიუჯეტის რომელიმე მაჩვენებელზე (მაგალითად, საკუთარი შემოსულობების მოცულობაზე 2-5%).




ზოგადი სახის რეკომენდაციები

- ◆ მუნიციპალიტეტების შეფასების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილი ინდექსის სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის ნაბიჯების გადადგმას იწყებს შეფასების პროცესის დაწყების წინ ან უშუალოდ შეფასების პროცესში, რაც არ არის საკმარისი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამდენად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა გაუმჯობესების ღონისძიებები უშუალოდ შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ საკუთარი მუნიციპალიტეტის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და სხვა მუნიციპალიტეტების დადებითი პრაქტიკების გათვალისწინებით (ხელმისაწვდომია ინდექსის ერთიანი ეროვნული შეფასების ანგარიშებში) დაგეგმონ. აღნიშნული მიდგომა მათ საკმარის დროს მისცემს როგორც ცვლილებებისთვის, აგრეთვე შესაბამისი ადამიანური რესურსების მოსამზადებლად.
- ◆ მუნიციპალიტეტებმა გაუმჯობესების ღონისძიებები უნდა დაამტკიცონ განერილი გეგმის სახით, რაც ხელს შეუწყობს თანმიმდევრული ცვლილებების გატარებას და შედეგების მდგრადობას. აღნიშნული რეკომენდაცია განსაკუთრებით აქტუალურია დაბალი შედეგების და გაუმჯობესების დაბალი ან უარყოფითი დინამიკის მქონე მუნიციპალიტეტებისთვის. გაუმჯობესების ღონისძიებების გეგმა რეკომენდირებულია შემუშავდეს საკრებულოსა და მერიისთვის ცალ-ცალკე. ამ მიზნით, სასურველია საკრებულოს თავმჯდომარის და მერის გადანყვეტილებით განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი ან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების გეგმას, ხოლო მერის/საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გეგმის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მისი შესრულების მონიტორინგს.
- ◆ იმისათვის რომ მუნიციპალიტეტებმა პანდემიის პირობებში შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ინოვაციური მიდგომების დანერგვა. მუნიციპალიტეტის ელექტრონული პლატფორმები უნდა ადა-

პტირდეს პანდემიის პირობებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის და გადანყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის გაზრდილ საჭიროებებზე ეფექტურად საპასუხოდ. მოსახლეობასთან კომუნიკაციის მიზნებისთვის, ტრადიციული მექანიზმების გამოყენების პარალელურად, დამატებით უნდა დაინერგოს კომუნიკაციის ელექტრონული ფორმები.

- ◆ გასათვალისწინებელია, რომ დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა. ამ მიზნით იგეგმება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვაც. შესაბამისად, რეკომენდირებულია აღნიშნულ პროცესში მხედველობაში იქნას მიღებული ინდექსის სტანდარტები, შეფასების შედეგები და სხვადასხვა მუნიციპალიტეტების დადებითი გამოცდილება. მით უფრო, რომ აღნიშნულ სტრატეგიაში ინდექსი და მისი მაჩვენებლები შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ინდიკატორად არის დადგენილი.



შეფასების შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით

N	მუნიციპალიტეტები	საბოლოო შეფასება	მერია	საკრებულო
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	70%	67%	76%
2	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	66%	71%	57%
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	61%	48%	79%
4	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	58%	52%	68%
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	55%	54%	57%
6	თელავის მუნიციპალიტეტი	51%	46%	58%
7	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	49%	46%	53%
8	ცაგერის მუნიციპალიტეტი	49%	50%	47%
9	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	41%	35%	52%
10	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	41%	34%	53%
11	სენაკის მუნიციპალიტეტი	40%	35%	49%
12	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	39%	43%	33%
13	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	39%	30%	53%
14	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	37%	37%	37%
15	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	34%	31%	40%
16	ქედის მუნიციპალიტეტი	33%	29%	40%

17	აბაშის მუნიციპალიტეტი	33%	28%	40%
18	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	32%	34%	29%
19	ახალციხის მუნიციპალიტეტი	31%	31%	32%
20	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	31%	28%	36%
21	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	30%	28%	32%
22	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	29%	31%	25%
23	ხობის მუნიციპალიტეტი	28%	25%	35%
24	ახმეტის მუნიციპალიტეტი	28%	19%	42%
25	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	28%	21%	38%
26	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	28%	27%	29%
27	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	28%	25%	33%
28	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	27%	27%	28%
29	დუშეთის მუნიციპალიტეტი	27%	25%	31%
30	შუახევის მუნიციპალიტეტი	27%	30%	22%
31	ხაშურის მუნიციპალიტეტი	27%	22%	36%
32	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	27%	27%	26%
33	დმანისის მუნიციპალიტეტი	27%	24%	32%
34	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	26%	25%	29%
35	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	26%	22%	34%
36	ნალკის მუნიციპალიტეტი	26%	22%	34%
37	ვანის მუნიციპალიტეტი	26%	27%	25%

38	გორის მუნიციპალიტეტი	26%	25%	27%
39	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	25%	24%	26%
40	საჩხერის მუნიციპალიტეტი	25%	22%	28%
41	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	23%	25%	20%
42	ონის მუნიციპალიტეტი	23%	22%	25%
43	მარნეულის მუნიციპალიტეტი	22%	21%	22%
44	მცხეთის მუნიციპალიტეტი	21%	23%	18%
45	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	21%	20%	22%
46	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	20%	21%	20%
47	მარტვილის მუნიციპალიტეტი	19%	15%	24%
48	მესტიის მუნიციპალიტეტი	18%	14%	24%
49	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	18%	17%	18%
50	ხონის მუნიციპალიტეტი	16%	12%	24%
51	ხულოს მუნიციპალიტეტი	15%	15%	16%
52	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	15%	17%	12%
53	ყვარლის მუნიციპალიტეტი	14%	10%	22%
54	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	14%	11%	17%
55	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	13%	14%	12%
56	ქარელის მუნიციპალიტეტი	11%	14%	5%
57	კასპის მუნიციპალიტეტი	10%	8%	13%
58	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	7%	6%	8%

59	თიანეთის მუნიციპალიტეტი	7%	6%	8%
60	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	6%	5%	7%
61	ასპინძის მუნიციპალიტეტი	6%	6%	6%
62	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	5%	4%	6%
63	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	5%	4%	6%
64	ადიგენის მუნიციპალიტეტი	4%	3%	6%

